საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე თამაზ ვლადიმერის ძე

თევზაძე თამაზ ვლადიმერის ძე (დ. 1.IV. 1928, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა მოსკოვის არქიტ. ინ-ტი (1952). 1953–64 მუშაობდა არქიტექტორად საპროექტო ინ-ტ „თბილქალაქპროექტში", 1964–71 – ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში („თბილზნიეპი"), 1973–78 იყო თბილ. მთ. არქიტექტორი, 1978-87–„თბილქალაქპროექტის" დირექტორი, ხოლო 1987–2002– ამავე საპროექტო ინ-ტის მთ. არქიტექტორი.

ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – სკოლა 880 მოსწავლეზე (ტიპობრივი პროექტი, 1954, არქიტ. მ. კობახიძესთან ერთად); სასტუმრო „კოლხეთი" (1962, არქიტ. ნ. ჯობაძესთან ერთად); მეტროპოლიტენის სადგურ „ნაძალადევის" (ყოფ. "ოქტომბერი") მიწისზედა ნაგებობა და ქვედა ვესტიბიული (1966, არქიტ. რ. კიკნაძესთან ერთად, მხატვარი ნ. იგნატოვი) და „300 არაგველის" მიწისზედა ნაგებობა (1967); კ. გამსახურდიას ძეგლი (1983, მოქანდაკე თ. კიკალიშვილი) და სხვ. არის „არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის" პროფესორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თ. გერსამია